სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №103

ქ. ვანი 01 აგვისტო 2012 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 10' მუხლის მე-3 პუნქტის „ დ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ერთის მხრივ თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") საკრებულოს თავმჯდომარის დავით კაკაბაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „გზამშენი XXI"-ის (შემდგომში „სამუშაოს შემსრულებელი") დირექტორის ვოჩა ახალაძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

- ბაღდათი-ვანი-დაფნარის გზის მონაკვეთის (ვანის მონაკვეთი 32-ე კმ-დან 36-ე კმ-ის ჩათვლით) ნაწილობრივი რეაბილიტაცია - 685 990 ლარი.
- ბაღდათი-ვანი-დაფნარის გზის მონაკვეთის (ვანის მონაკვეთი მე-17 კმ-დან მე-18 კმ-ის ჩათვლით) ნაწილობრივი რეაბილიტაცია - 86 828 ლარი.
  CPV – 45233223
- შუამთა-ტოშანიერის დამეწყრილი გზის (1კმ) მონაკვეთის რეაბილიტაცია - 107 400 ლარი.
  CPV – 45233220

2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ-„ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში სამუშაოს შემსრულებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

2.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.4 „სამუშაოს შემსრულებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

2.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. სტანდარტები და ხარისხი

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

4.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს სამუშაოს შემსრულებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით;

4.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება სამუშაოს შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4 სამუშაოს შემსრულებელმა სამუშაოთა წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი და მიღებული შედეგები შეიტანოს ყოველდღიურად ჟურნალში;

4.5 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმის გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა მესრულების ხარისხი, იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება;

4.6 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.4 პუნქტში აღნიშნული სამსახური;

5. სამუშაოს შესრულების პირობები

5.1 სამუშაოს შესრულება დაიწყება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და დასრულდება 2012 წლის *25 სექტემბრამდე;*

5.2 შესასრულებელი სამუშაოების დაზუსტება შესაძლებელია მუშაობის პროცესში, დეფექტური აქტის საფუძველზე;

5.3 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება შეიტანოს სამუშაოს მოცულობებში ან გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1სამუშაოთა მიღება-ჩაბარება განხორციელდება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2-ს, არსებობის შემთხვევაში ფარული სამუშაოების ჩატარების აქტისა და "შესრულებული სამუშაოს შესახებ სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს მიერ შესრულებული საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდეგ (ექსპერტის მომსახურების ხარჯები გაიწვევა სამუშაოს შემსრულებლის მიერ).

6.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს სამუშაოს შემსრულებელი;

6.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს სამუშაოს შემსრულებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6.4 გარანტია შესრულებულ სამუშაოზე შეადგენს 1 წელს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

7. ანგარიშსწორება და ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში;

7.2 გადახდის ფორმა - უნაღდო;

7.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 დღეში.

7.4 შემსყიდველი განახორციელებს წინასწარ ანგარიშსწორებას სამუშაოს შემსრულებელთან ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0%-დან 50% პროცენტის ოდენობით, მხოლოდ:

ა) სამუშაოს შემსრულებლის მიერ იმავე ოდენობის თანხაზე საბანკო გარანტიის (საბანკო გარანტია შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ბანკიდან ან სხვა საკრედიტო დაწესებულებიდან ან სადაზღვევო ორგანიზაციიდან) წარმოდგენის შემდეგ; საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოთა შესრულების ვადის დასრულებას.

8.ფასები

8.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 880 218 (რვაასოთხმოცდაათას ორასთვრამეტი) ლარს.

8.2 სამუშაოს შემსრულებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს;

8.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა;

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების პირობების ცვლილება არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 სამუშაოს შემსრულებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მესამე პირს.
10.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;
11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. მხარეთა უფლება მოვალეობები

12.1 შემსყიდველი და სამუშაოს შემსრულებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
12.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- დროულად და კეთილ სინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს სამუშაოს შემსრულებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს სამუშაოს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;
- წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს სამუშაოს შემსრულებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

12.3 შემსყიდველს უფლება აქვს:
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
- განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა შემსყიდველის ქვეყანაში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით;
- ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ სამუშაოს შესრულებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;

12.4 სამუშაოს შემსრულებელი ვალდებულია:
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

- სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ
შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
შესრულებული სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება
- სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება
უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამუშაოს შემსრულებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და
რესურსებით და სამუშაოს შემსრულებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების,
აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის
შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება სამუშაოს შემსრულებელს;
- სამუშაოს შემსრულებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს
მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები
ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;
- ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები
სამუშაო მოედნებზე.

12.5 სამუშაოს შემსრულებელს უფლება აქვს:
– მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული
სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და პასუხისმგებლობა

13.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად ჩაითვლება, თუ სამუშაოს შემსრულებელი:
ა) არ დაიწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას გათვალისწინებულ
ვადაში;
ბ) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
გ) სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად
შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებილი ვალდებულებების
შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით
გათვალისწინებული წესის შესაბამისად;
13.2 თუ სამუშაოს შემსრულებელი გადააცილებს შემსყიდველის (გრაფიკით) გათვალისწინებულ სამუშაოს
შესრულების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი
სამუშაოების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით;
13.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს
ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს , შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს სამუშაოს შემსრულებელი ძირითადი ვალდებულებების
შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, სამუშაოს
შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ სამუშაოს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ
ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;
ბ) თუ სამუშაოს შემსრულებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე
ვალდებულება;
14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს სამუშაოს შემსრულებელს
დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდება, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ
უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) შემსრულებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
14.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს სამუშაოს
შემსრულებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ
გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას,
თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-
მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან სამუშაოს შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასითი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მოწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიხოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15.4 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების ძოქმედება კომპენსაციის მოთხოვნების უფლების გარეშე.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და სამუშაოს შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირ არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მათთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და სამუშაოს შემსრულებელი ვერ შეძლებს სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

17.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1 ხელშეკრულება შედგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არ არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება სამუშაოს შემსრულებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. შეტყობინება

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით თუ ამ თარიღებიდან, რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 უცხოური შემსრულებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე. რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

20.2 ადგილობრივი შემსრულებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2012 წლის 20 ოქტომბრამდე.

22. სხვა პირობები

22.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
22.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
22.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

„შემსყიდველი"

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ქ. ვანი თავისუფლების ქ. №65
ს/კ 229653256
ა/ა GE14LB0120198505210000
ს/კ LBRTGE22

დავით კაკაბაძე
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

„შემსრულებელი"

შპს „გზამშენი XXI"
ქ. ქუთაისი ანჯაფარიძის ქ. №100ა
ს/კ 212709498
ა/ა GE60TB0300000360501010
ს/კ TBCBGE22

გოჩა ახალაძე
შპს „გზამშენი XXI"-ის დირექტორი